ონკოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი რემა ღვამიჩავა
დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უნივერსალური სამედიცინო ცენტრის დირექტორი;
საქართველოს კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე;
საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი.



ასოცირებული პროფესორი მიხეილ შავდია
უნივერსალური სამედიცინო ცენტრის პალიატიური განყოფილების ექსპერტი;
საქართველოს საპატრიარქოს კლინიკის პალიატიური მზრუნველობის განყოფილების ხელმძღვანელი;
საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი.



ასოცირებული პროფესორი ირაკლი კოხრეიძე

ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე თავართქილაძე
პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტის სამედიცინო დირექტორი.

ასისტენტ-პროფესორი იოსებ აბესაძე
უნივერსალური სამედიცინო ცენტრის პალიატიური მზრუნველობის განყოფილების ხელმძღვანელი;
ონკო პრევენციის და პალიატიური მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი;
პალიატიური მზრუნველობის საერთაშორისო ექსპერტი.

ონკოლოგიის დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (1992 წლამდე სამედიცინო ინსტიტუტის) ონკოლოგიის დეპარტამენტი (ადრე კათედრა) დაარსდა 1976 წელს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე;
კათედრის პირველ გამგედ არჩეული იყო ქირურგი-ონკოლოგი, პროფესორი ირაკლი მგალობლიშვილი (1912-1977).
პირველი პედაგოგები იყვნენ - რ.თოდუა, ს.სპირინა, გ.ბაღათურია, ვ.ხიდაშელი.
1980-1987 წლებში კათედრის გამგედ არჩეული იყო ქირურგი პროფესორი ლ.წაქაძე.
1987-1992 წლებში კათედრის გამგე იყო ქირურგი-ონკოლოგი, პროფესორი მერაბ იზრაელაშვილი.
1992-2015 წლებში კათედრას ხელმძღვანელობდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ილია ბაქრაძე, ხოლო 2016 წლიდან დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი რემა ღვამიჩავა.
კათედრის პირველ დოცენტად არჩეული იყო რომან თარგამაძე, ასისტენტებად რ.სალუქვაძე და გ.მგალობლიშვილი.
1980 წელს კათედრის პირველ მიზნობრივ ასპირანტად ჩაირიცხა მიხეილ შავდია.

თსსუ-ის ონკოლოგიის დეპარტამენტი განთავსებულია უნივერსალური სამედიცინო ცენტრის - ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის პალიატიური მზრუნველობის განყოფილების ბაზაზე. სასწავლო პროგრამის ძირითადი მიმართულებაა ავთვისებიანი სიმსივნეების პრევენცია და ადრეული დიაგნოსტიკა. 1976-2018 წლებში სწავლება გაიარა თსსუ მედიცინის (ადრე სამკურნალო), პედიატრიული, სამხედრო-სამედიცინო, ფსიქოსომატური და სხვა ფაკულტეტების 25 000-ხე მეტმა სტუდენტმა, დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ 1976-2018 წწ გამოქვეყნდა 750-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო.

ონკოლოგიის დეპარტამენტი

ონკოლოგიის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე გამოაქვეყნა პროფესორმა კ.ვეფხვაძემ 1967წ-ს.

1974 წელს - პროფ ა.ღვამიჩავამ „ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკა“, ხოლო 1980 წელს „ონკოლოგია“, 1988 წელს გამოიცა „ზოგადი ონკოლოგია“ პროფ მ. იზრაელაშვილის რედაქციით. 2010 წელს პროფესორების რ.ღვამიჩავას და მ.შავდიას მიერ წიგნი „ონკოლოგია“, რისთვისაც 2011 წელს მისმა ავტორებმა მიიღეს საქართველოს ეროვნული პრემია.

ამჟამინდელი ონკოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები არიან: საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატები პროფესორი რემა ღვამიჩავა და ასოცირებული პროფესორი მიხეილ შავდია, ასოცირებული პროფესორები ირაკლი კოხრეიძე და ალექსანდრე თავართქილაძე, ასისტენტ-პროფესორი იოსებ აბესაძე, ლაბორანტი ნინო სანებლიძე.

დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურ კლინიკურ საქმიანობის პარალელურად სისტემატურად მუშაობენ სხვა მიმართულებებითაც: კლინიკური ონკლოგიის საქართველოს საზოგადოებასთან ერთად ყოველწლიურად აწყობენ საერთაშორისო ონკოლოგიურ კონფერენციებს, ჩართულები არიან კლინიკური ონკლოგიის საქართველოს საზოგადოების მიერ დაფუძნებული ჟურნალის „კლინიკური ონკოლოგია“-ს სარედაქციო საბჭოს მუშაობაში.

კავშირ „ონკოპრევენციის ცენტრთან“ ერთად სისტემატურად (2001 წლიდან დღემდე) აწყობენ პირველადი ჯანდაცვის ექიმების სასწავლო ტრეინინგებს კიბოს პროფილაქტიკის და ადრეული დიაგნოსტიკის საკითხებზე. ასევე აქტიურად არიან მოსახლეობის უფასო გაშინჯვების აქტივობებსა და ონკოლოგიურ დაავადებებთან მიმართებაში მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლების ღონისძიებებში.